Givi Bolotashvili
Member of Parliament of Georgia in 1999-2004

Lessons from Populism at the End of September

(Abstract)

KEYWORDS: Populism, Demagogy, Conspiracy, Public Will, Politician, MP, Georgia, History

Populism seeks popular support through extravagant promises and demagogic rhetoric. Contemporary populists in Georgia engage directly with the public, deliberately activating emotions and grievances – a strategy that can be politically hazardous. Populist movements often arise among groups who feel overwhelmed by rapid social and economic change and who perceive they have lost agency over unfolding events.

Historically, populism gains traction in periods of acute upheaval; its visibility in the Georgian Parliament has fluctuated since the institution's inception. This trajectory is likely to persist unless the public becomes better equipped to distinguish misleading narratives from political reality. Sustained civic education and critical media literacy are therefore imperative to inoculate citizens against simplistic appeals.

In present-day Georgia, there is a marked dominance of civil servants over authentic politicians, underscoring an important distinction: administrators may manage institutions, but they do not necessarily embody the deliberative, representative vocation fundamental to democratic politics.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გივი ბოლოთაშვილი
საქართველოს მე-5 მოწვევის
პარლამენტის წევრი (1999-2004)

პოპულიზმის გაკვეთილები სექტემბრის მიღურულს

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, დემაგოგია, შეთქმულება, ხალხის ნება, პოლიტიკოსი, პარლამენტარი, საქართველო, ისტორია

დამოუკიდებლობას ველოდით. მცირედიც გვიხაროდა. გაათავისუფლეს ძველი ხელმძღვანელი, დანიშნეს ახალი, ახალგაზრდა – კარგია. სამართალმა პური ჭამა. პოლიტიკურმა ლიდერმა ქაღალდში ჩაუხედავად ორიოდე სიტყვა წარმოთქვა და აღფრთოვანებულები დავრჩით – ეს რა ლიდერი გვეღირსაო, როცა ზოგიერთმა ჩვენმა პარლამენტარმა რუსეთს მუშტების ქნევა დაუწყო, მთლად გადავირიეთ – ეს რა პოლიტიკოსები გვყავსო. სინამდვილეში კი, ნელ-ნელა ვიძირებოდით პოპულიზმის ჭაობში.

რა არის პოპულიზმი?[1] ესაა საქმიანობა, რომლის მიზანია მასებში პოპულარობის მოპოვება უსაფუძვლო დაპირებებისა და დემაგოგიური ლოზუნგების მეოხებით.[2] თანამედროვე გაგებით, პოპულისტი ის პიროვნებაა, რომელიც მასებს და, მაშასადამე, ცეცხლს ეთამაშება. პოპულიზმი, ამასთან ერთად, არის ადამიანთა გარკვეული, რაღაც რაოდენობის რეაქცია იმ მკვეთრ ცვლილებებზე, რომელიც საზოგადოებაში ხდება, როცა ისინი ხედავენ, რომ მოვლენები მათ კონტროლს აღარ ექვემდებარება. პოპულისტები ყველგან და ყველაფერში ხედავენ შეთქმულებას და ცდილობენ, დაეყრდნონ

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავიანთ საქმიანობაში მისტიკურ სიბრძნეს, რომელიც გამოხატულია სიტყვებში „ხალხის ნება“. პოპულიზმის ერთი უკიდურესობაა მისი ფაშიზმთან[3] შერწყმა, როცა ქარიზმატული ლიდერი პრეტენზიას აცხადებს, რომ იგი გამოხატავს „ხალხისა და ამომრჩევლები ნებას“. პოპულიზმის მეორე სახეობაა პრიმიტიული კომუნიზმი,[4] რომლის დროსაც აქცენტი კეთდება „მშრომელთა ინტერესებზე“. ორივე სახეობის პოპულისტები თამაშობენ მასაზე, რომ არ არიან დაკავშირებულნი არსებულ ხელისუფლებასთან, რომელსაც ბრალს სდებენ ღალატსა და კორუფციაში.

თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში, პოპულიზმი ყოველთვის აქტიურდებოდა ისტორიული ქარტეხილების დროს. რამდენადაც ახლა სწრაფი გარდაქმნების ზოლში შევდივართ, მან უკვე დიდი ადგილი დაიკავა ქართული პარლამენტის საქმიანობაში და, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს, თუკი ხალხმა ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან პოპულისტის მიერ დახატული სურათი რეალური სინამდვილისაგან.

დღეს საქართველოში ყველა პოლიტიკოსობს, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალი პოლიტიკოსი თითო-ოროლა თუ გვყავს. დანარჩენებში აშკარად იგრძნობა პოლიტიკოსობისა და პოლიტიკური აზროვნების დეფიციტი. სწორედ ამ თვითმარქვია პოლიტიკოსებმა დაანგრიეს საქართველოს ეკონომიკა და ადამიანური ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ამდენი ადამიანია ჩართული პოლიტიკაში, საზოგადოება მაინც არაპოლიტიზებულია. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ყველა ნორმალურ საზოგადოებაში მისი უდიდესი ნაწილი არაპოლიტიზებულია. პოლიტიკას მისდევს მხოლოდ პროფესიონალ პოლიტიკოსთა ვიწრო წრე, მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, რომ პოლიტიკაში აქტიურობს და

BRAMS 2023 May
Volume 4, Issue 8
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს სწორედ ეს არაპოლიტიზებული საზოგადოება.

ცნობილი გერმანელი სოციოლოგი და ისტორიკოსი მაქს ვებერი (1864-1920) გამოყოფდა სამი ტიპის პოლიტიკოსს. პირველნი არიან შემთხვევითი პოლიტიკოსები – ეს ჩვენ ვართ, რომელიც შემთხვევიდან შემთხვევამდე ვმონაწილეობთ არჩევნებში. მეორენი არიან შეთავსებით პოლიტიკოსები – ასეთები არიან ჩვენი პარლამენტის დეპუტატები. დაბოლოს, არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები, რომლებიც მთლიანად პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობენ.

დამოუკიდებელი საქართველოს რეალობაში უფრო მოხელეები[5] გვხვდებიან, ვიდრე პოლიტიკოსები. მათ შორის კი სხვაობა უაღრესად დიდია.

ლიტერატურა ▫ References

1. კოდუა ედუარდ და სხვ. (2004). სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი: „ლოგოს პრესი“.
2. ურიდია სამსონ, სხვ. (2004). მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. გაეროს განვითარების პროგრამა, რედაქტორი – ვაჟა გურგენიძე, საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკა, თბილისი.
3. ბეგიაშვილი მალხაზ, ბოსტოღანაშვილი დავით, ლეჟავა დიანა და სხვ. (2007). დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა: სატრენინგო მასალები. თბილისი.
4. გოგატიშვილი მ. კომუნიზმი. ქართული ენციკლოპედია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია [https://www.georgianencyclopedia.ge/ka/form/27498].
5. მოხელე – პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად (ინგლ. state employee) და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად (ინგლ. employee of local authorities). სახელმწიფო მოხელე შეიძლება გახდეს 21 წლის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე შეიძლება გახდეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს სახელმწიფო ენას (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 6, 15, 16) [https://www.police.ge/files/pdf/sakanonmdeblo%20baza/18.Law_on_Public_Service.pdf];
[https://oni.gov.ge/wp-content/uploads/2023/04/საჯარო-სამსახურის-შესახებ.pdf].

6. მაისურაძე გიორგი (7 ოქტომბერი, 2015). ფაშიზმი, რომელიც მუდამ ჩვენთანაა. რადიო „თავისუფლება“ [https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-giorgi-maisuradze-pashizmi-romelic-mudam-chventanaa/27293460.html].
7. Cramer, Katherine J. (2016). *The Politics of Resentment: Rural Consciousness in Wisconsin and the Rise of Scott Walker* (Chicago Studies in American Politics). Chicago, IL: University of Chicago Press.
8. Calston, William A. (2018). *Anti-Pluralism: The Populist Threat to Liberal Democracy*. New Haven, CT: Yale University Press.
9. Hofstadter, Richard (1966). *Anti-Intellectualism in American Life*. New York, NY: Vintage Books.
10. Howell, William G., and Terry M. Moe (2020). *Presidents, Populism, and the Crisis of Democracy*. Chicago, IL: University of Chicago Press.
11. Moffitt, Benjamin (2016). *The Global Rise of Populism: Performance, Political Style, and Representation*. 1st Edition, Kindle Edition, Redwood City, CA: Stanford University Press.
12. Mudde, Cas (2004). The Populist Zeitgeist. *Government and Opposition*, 39(4), 541-563. https://doi.org/10.1111/J.1477-7053.2004.00135.X
13. Runciman, David (2019). *How Democracy Ends*. London, England: Profile Books Ltd.
14. Weber, Max (2010). *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*. Revised 1920 edition, Translated and Introduced by Stephen Kalberg, Oxford University Press.
15. Булин, Дмитрий (15 июня 2016). Анатомия популизма: почему Трампу он нужен, а Путину – нет. *Би-би-си русская служба* [bbc.com/russian/features/2016/06/160615_yudin_lecture_populism].
16. Володин А.Г. (2020). Феномен «нового популизма»: американское измерение // *Контуры глобальных трансформаций: политика, экономика, право*. Т. 13, № 4. С. 253-277. DOI 10.23932/2542-0240-2020-13-4-12.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)